დამტკიცებულია ასოციაციის უფლებამფლობელთა საბჭოს

2023 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით:

ტარიფების ოდენობის გასაჩივრების წესი:

ა(ა)იპ საქართველოს უფლებამფლობელთა ასოციაციის წესდების 9.5 წესდების თანახმად უფლებამფლობელთა საბჭოს კომპეტენციაში შედის ტარიფ(ებ)ის და ტარიფ(ებ)ის ზომის ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი(ები) ან უფლებამფლობელი(ები) უკმაყოფილო იქნება უფლებამფლობელთა საბჭოს მიერ დადგენილი ტარიფ(ებ)ით მას უფლება აქვს მიმართოს ასოციაციას განცხადებით და გაასაჩივროს იგი შემდეგი წესით:

მომხმარებელი(ები) ან უფლებამფლობელი(ები) წერილობით განცხადებით მიმართავს ასოციაციას დადგენილი ტარიფ(ებ)ის ცვლილებასთან დაკავშირებით:

განცხადება უნდა შეიცავდეს:

- თუ კონკრეტულად რომელი ტარიფის ცვლილება სურს(თ);
- არგუმენტირებულ დასაბუთებას თუ რატომ სურს(თ) ამა თუ იმ ტარიფის ცვლილება;
- რისი მომტანია აღნიშნული ცვლილება მათთვის.

განცხადების მიღების დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში იკრიბება უფლებამფლობელთა საბჭო, რომელიც განიხილავს ტარიფ(ებ)ის ზომის ცვლილებებთან დაკავშირებით განცხადებას.

ასოციაცია შემოსული განცხადების შესახებ აცნობებს უფლებამფლობელთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც განსაზღვრავს სხდომის თარიღს. ასოციაცია უზრუნველყოფს უფლებამფლობელთა საბჭოს სხდომის ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

უფლებამფლობელთა საბჭოს მიერ განცხადების განხილვამდე ასოციაცია ამზადებს დასკვნას ტარიფ(ებ)ის შეცვლის შესახებ მიღებულ შეთავაზებებთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს შემდეგ მონაცემებს:

- ობიექტების (ნამუშევრები, ფონოგრამები) გამოყენების ფორმის/მეთოდის თავისებურებები, რომელსაც ეხება მიღებული შეთავაზება, აგრეთვე ტარიფ(ებ)ის დადგენის კრიტერიუმები გამოყენების შესაბამის შემთხვევების მიხედვით;
- ინფორმაცია არსებული გამოცდილების შესახებ (მათ შორის საერთაშორისო) ტარიფ(ებ)ის დაწესებისა და გამოყენების მსგავს პირობებში იმ ობიექტების გამოყენების შესახებ, რომლებიც ეხება შეთავაზება;
- მოსალოდნელი კატეგორიები და მომხმარებელთა სავარაუდო რაოდენობა, რომელთა ინტერესებზეც მოქმედებს ტარიფ(ებ)ის შემოთავაზებული ცვლილება, შესაბამისი ტარიფების მნიშვნელობა უფლებების მფლობელთა ინტერესებისთვის;

- შემოთავაზებული ტარიფის ცვლილება(ებ)ის განხორციელების შედეგების შეფასება, როგორც მომხმარებლებთან, ასევე უფლებების მფლობელებთან მიმართებაში, რომელთა ინტერესებსაც ეხება შეთავაზება.

უფლებამფლობელთა საბჭო განიხილავს განცხადებას ტარიფ(ებ)ის ცვლილების შესახებ ასოციაციის მომზადებული დასკვნის გათვალისწინებით, ქონებრივი უფლების ყველაზე ეფექტური განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებსაც ეხება აღნიშნული შეთავაზება. განცხადების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოიწვიონ დაინტერესებული წარმომადგენლები (მომხმარებლები,უფლებების მფლობელები, სპეციალისტები, გარე ექსპერტები).

ტარიფ(ებ)ის ცვლილების შესახებ განცხადების განხილვის შედეგების საფუძველზე უფლებამფლობელთა საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მიღებული შეთავაზების მიღების ან უარყოფის შესახებ. ტარიფ(ებ)ის შეცვლის შესახებ შეთავაზების დამტკიცების შემთხვევაში უფლებამფლობელთა საბჭო ადგენს ასოციაციის მიერ ტარიფების შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების ვადებსა და სხვა პირობებს.

ასოციაცია წერილობით ფორმით აცნობებს განმცხადებელს უფლებამფლობელთა საბჭოს მიერ ტარიფ(ებ)ის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

თავმჯდომარე		/მ. მალაზონია/
კრების მდივანი		/გ. ნიკოლაიშვილი/